

უნალმელი

ცურათა გადანი დამატება

გაზეთის № 31.

კვირა, 13 ივნისი 1910 წ.

დამატების № 5



თელავის განვითარების მინისტრი

(იხ. „სას. გაზ.“ № 28.)

ცურათა გადანი

შფოთავ, მრისხანებ, და სევდიანი ქადაგებულ პინ
შენს გარედ ეძებ შვებას და ლხენას, თუმც კარგის
უკაყაფილო, თვალურემლიანი იყოთ, იგვე
ემდური მწარედ შორეულ ზენას... მაგ კაცი
ადამიანო! მთელი სამყარო, თა დანარ ნიშან
შენი სიმდიდრე და სიხარული, პინ ცრაბებზე ცეკვი
უკვდავებისა ცხოველი წყარო მათ მიეძინოთ გაფინა
შენსავე გულში არს ჩამარხული!.. და — ძალა და
სულის სიღრმეში, მის სალაროში
ბრწყინვენ უცხო ბრილიანტები,
გრძნებით აღსავს მის სამთავროში
დგანან ზურმუხტის, აღმასის მთები!..
იქ მუდამ დღეა: მშვიდი, მზიანი,

არ აქვს ადგილი იქ ჰვენურ ვნებას,
ტურფა ყვავილნი, გულშლილულიანი,
ჰფენენ გარშემო ტკბილ სარწელებას...
იქ სადგომია შენი ღმერთების,
ტახტი სიკეთის, მშვენიერების
იქ აკვანია შემოქმედების,
სათავე შენი ბელნიერების...
იქ სიყვარულის ნარნარი ხმანი
სფეროთ სიმღრას უერთდებიან,
წმიდა გრძნობანი, წმიდა ზრახვანი
იბადებიან იქ... იზრდებიან!
მაშ დაუბრუნდი საჩქაროდ შენს სულს
და ჩაიხედე იმის სიღრმეში:
იქ პპოებ ლხენას, პპოებ სიხარულს,
მხოლოდ იქ არის შენი ნუგეში!


კ. მაკაშვილი.



მოსის დიმიტრის გრინენი — ცნობილი უკრაინის მწერალი.

(იხ. „სას. გაზ.“ № 24)





გოდანის ზღ. ნინოს დედათა მონასტერი.

გენერალი

ვიშ ამ დილისა სიცოცხლის მფრქვეველს,
ვერცხლის ზეირთები ყვავილზედ ჰკრთება;
ველი პირს იბანს დილისა წამით,
მდელო იღვიძებს და იფურჩქნება...

ნიავი გრილი, მთებში ნაფეთქი,
ყვავილსა არევს, ჰკერდს ეხუტება;
ბჟექის ტოტიდან ნამი შემკრთალი
მინდვრისა ბალას ზედ ეპკურება.

ფერდობზედ მოსჩევს წყარო ან კარა,
მოარაკრაკებს ნარნარსა ზეირთებს;
კავკასიონი მნათობს დილისას
კვარცხლბეკად უდგამს ოვლიან ნაკვთებს..

პირს ალაზანი მიიკლაკნება,
ჭალა ყურს უგდებს ტალღათა ცქრიალს;
ველიდან ვუმზერ სურათს ედემურს:
რხეულ წალკოტში მზის სხივთა ციალს.

დილის წიაღში: ღელავს ტრფობის ზღვა,
შასში დასცურავს ოცნების გედი,
კვლავ მკვდრეთით სდგება ჩემი სიმბოლო,
კვლავ ზე მაღლდება ჩემი იმედი!..

მომარტენ იარივი — მარა ფასლიშვილი.

(გ. მ. "მარ. მარ. და")



გოდანი წმინდა ნინოს დედათა მონასტერი

—:

შეუდარებელია ის მშვენიერი სანახაობა, რომელიც
გაგეშლებათ თვალშინ, როცა ტფილისიდან სიღნაღმდე მია-
მავალ ტიტველს და მოსაწყენს გზაზე ას ვერსტ გაივლით.
სიღნაღმის ახლო მაღლობიდან მოსახანს მშვენიერის ალაზ-
ნის ველი. ეს მაღლობი დაჰკურებს ზევიდან მთელს იმ
არე-მარეს, რომელიც გასაოცარს სურათს წარმოადგენს:
ერთის მხრით გამმულა ქიზიყის *) სოფლები, რომელნიც
ემსგავსებიან მჭიდროდ გაშენებულ ბაღებს ეკკლესიებით
და კრამიტიის სახლებით; ხოლო მეორეს მხრით გადაჰიმულა
ალაზნის ველი, რომელიც აღმართულია ცივ-გომბორის ქედს
ქვემოთ რამდენიმე ათის ვერსის მანძილზე კავკასიონის მთე-
ბამდე, რომელთა თოვლიანი სიმაღლენი თითქო უერთდე-
ბიან ლაჟვარდს ცის კამარას და მოსახანან ასი ვერსის სი-
შორებზე; ჩრდილოეთის მხრივ აყუდებული ბუმბერაზი ყაზ-
ბეგი, დარაჯი გარემო მყოფთ მთათა მწვერვალთა
პირველს წამის იმდენად ძლიერი და წარმტაცია ეს სუ-
რათი, რომ თქვენ იქვე, თქვენს ქვემოთ, სულ ას ნა-
ბიჯზე მდებარე მონასტერი ვერ შეგინიშნავთ, რომელიც
შემდეგ დანახვის თანავე დაიპყრობს სავსებით თქვენს ყუ-
რადღებას. — ესაა ბოდბის წმიდა ნინოს მონასტერი.


ეს მონასტერი იმყოფება დიდის სოფლის ბოლოს აღ-
მოსავლეთ ნაწილში, უუძველესის ბუდის აღილას, სადა
ოდესმე ყოფილა სადგური კახეთის გამგე-მმართველის სო-

*) ქიზიყი ეწოდება სიღნაღმის მაზრის აღმოსავლეთ-ხამტრეთ-
ნაწილს, რომელიც მოსახლეობრეა თათარ-ლეკითა ქვეყნებითა.

ფილი, საფური, რომელიც გაუქრისტიანებია წმიდა ნინოს. ის მდებარეობს სოფლის ერთს განაპირა ადგილას, რომელ-საც ეწოდება „ქედელი“ და ნიშნავს მთის გადასახედს ქედ-სა. მონასტერი მოთავსებულია განცალკევებულს მოვაკებულ ტურფა მოედანზე ორს ტყით დაფარულ მაღლობ შეა.

უკვე ჩვიდებული საუკუნეა, რაც აქ განისვენებს მოცი-კულთა სწორი ქალწული ნინო (276—340 წ. წ.) იმპერა-ტორის მაქსიმიანის მხედართ მთავრის ზაბულონის ასული, შთამამავლობით კაპპადოკიიდან. ნინო 14 წლამდის სცხოვ-რებდა იქრუსალიმში და ემსახურებოდა ქრისტეს საფ-ლავს. აქედან იგი გაემგზავრა რომს, მაგრამ იძულებული შეიქმნა მორიდებოდა მაქსიმიანეს დევნასა და მობრუნებუ-ლიყო აღმოსავლეთისკენ. სპარსეთიდან დევნილი მეფე ტი-რიდატის მიერ, იგი გადოვიდა საქართველოში და 315 წელს მოვიდა მცხეთას. სამი წლის განმავლობაში ქადაგებდა საიდუმლოდ და შემდევ ნინომ როგორც მოგვითხობს გად-მოცემა, საჯაროდ დაიწყო მოქცევა მთელის ერთიანი (*). ქარ-თველთა ჭართლ-მარილებელი ეკკლესია წმიდა მოციქულთა

შარა გზით. მახლობელ ქიზიყელთა სოფლებში გაუქონილია მშენების სანახაობის მიხვეულ-მოხვეული საურმე გზები. ეკლესია არაა მეტად ღილი და თვით შენობაც საღაა, მაგრამ იგი შესანიშნავია, როგორც ძეგლი არქეოლოგიურ სიძველის ქრისტიანობის დამყარების დროიდანვე. მისი აშე-ნება მიეწერება საქართველოს პირველ ქრისტიან მეფე მი-რიანს. *) იმ ბუჩქის ადგილას, რომლის ჩრდილშიც გალ-მოცემით სავანე ჰქონდა წმ. ქალწულსა, მეფე მირიან აეშე-ნებინა ეკლესია წმ. მთავარ მოწამის გიორგის სახელზე. მირიან მეფის ძემ—ბაგარმა, ააგო ხის ეკკლესია, რომელიც მაღალ დაიწყა. ვახტანგ გორგასლანგა ამ ადგილზედ ქვით-კირის ტაძარი ააშენა და დააწესა მღვდელ-მთავრის კათედ-რა ბოდბელ მიტროპოლიტებისთვის, ესენი განაგებ-ლნენ კველა საეკლესიო საქმეებს კახეთში, კუთხეთში, ქიზიყ-ში და ერეთში (ეხლანდელი ზაქათლის ოლქი). მერვე საუ-კუნები მიწის ძერას სხვა სოფლებთან ერთად ბოდბის ტაძარიც დაუნგრევია, ასე გავერანებული დარჩენილა მეთერ-თმეტე საუკუნების, როდესაც 1030—1040 წლებ-



ბოდბის წმ. ნინოს სასწავლებელის ხელსაქმის კლასი

სწორის ქალწულ ნინოს ხენებას დღესასწაულობს 14 იან- გვარს. ჯვარი წმინდა ნინოსი, ორის ვაზის რქისაგან, შეკ-რული თმებით, ინახება ტფილისის სიონის საკრებულო ტა- ძარში.

მოციქულთა სწორი ნინო წმიდანად იხსენიება არა მხოლოდ საქართველოში, არამედ საფრანგეთშიც, — შემცირი არა არა მეტანტი, რეიმსის და შალონის ქარ-ქიებში არის თურმე მრავალი ეკკლესია წმიდა ქალწულის სახელზე, (sainte chrétienne) რომელიც, როგორც გამორ-კეულია უკვე, არის განმანათლებელი წმიდა ნინო. ეს საინტერესო ცნობები გადმოგვცა ცნობილმა მსწავლულმა და მოზაურმა ფრანგმა ბარონ დე-ბაიმ, რომელმაც თვისი გადმოცემა დააბოლოვა შემდგის სიტყვებით: „მე მიყვარს მშევნიერი საქართველო არა მხოლოდ მისი ბუნების საოც-რებათა და მისს შეილთა რაინდულ გულწრფელობისათ-ვის, არამედ უფრო უმეტეს მისთვის, რომ ჩემი სამშობ-ლოც წმიდანათ იხსენიებს მისს განმანათლებელს წმინდა ნინოსათ...“

ბოდბის მონასტერი ქალაქ სიღნაღმზე სულ ვერს ნახე-ვთ მანძილითაა დაშორებული და შეერთებული გასთან

ში მეფე გიორგი პირველს გორგასლანისეულ ეკკლე-სიის ნანგრევებზე აუშენებია ეხლანდელი ტაძარი, რასაც ამტკიცებს სამხრეთის კედლის ქვაზე დაცული წარ-წერა: „მე, გიორგიმ, განვაახლე“... ამა ტაძრის შემდევ შე-კეთება გადაკეთებაზე არსად არავითარი ცნობები არ მოი-პოება; მხოლოდ საუკუნის პირველს წლებში უკანასკნელს მიტროპოლიტს ითან ბოდბელს, შეუკეთებია ეკკლესია განედან, სამხრეთით და ჩრდილოეთით მიუშენებია სტო-ვები ხოლო მათზე, ისევე როგორც შეა ეკკლესიასა და წინა სტოვაზედაც დაუდგავს ხის გუმბათები.

მონასტრის ტაძარი ნაშენია ალგილობრივ თლილი ქვით და აგურით, კედლებზე გარედან გამოყვანილია მშევ-ნიერის ფორმის ჯვრები. სამის მხრით მისი კედლები გარე-დან გათეთრებულია კირით და დაცულია ხელ-უხლებ-ლად მხოლოდ დასავლეთის მხარე კედლიდა, რომელიც ამოშენებულია მოგრძო მშევნიერის ფერადის აგურით. თვით ეკკლესია აშენებულია ჯვარის მსგავსად, სარკმელები ვიწრო

*) იხ. კავკასიის არქეოლოგიური მასალანი, —გამოცემა გრაფინია უგაროვისა და საქართველოს სიძველეთა ნაშენები —ბაქრაძესი, —არ-ქოლოგიურის კომისიის აჭრთა დამატებანი.

*) მ. საბინინი. „საქართველოს სამოთხე“.


აქვს და მაღალი, ხოლო სახურავი-კრამიტისა. სამი შესავალი კარები აქვს ხოლო, თვით შენობა დამყარებულია ექვს ოთხუთხის სვეტზედ და აქვს სიგრძე 8, სიგანე 5 და სიმაღლე 6 საექნი. ტაძრის მთელი იატაკი მოფენილია ალაგობრივ თლილი ქვით. საკურთხეველი, როგორც ყველა უძველესს საქართველოს ეკლესიებში, ამ ტაძრშიც სამ ნაწილიანია. მარჯვენა ნაწილში მოთავსებულია სამწირველო წმიდა ნინოს სახელზედ, აქ არის მარმარილოს საფლავი თვით წმ. ნინოს ხატით. ხოლო მარცხნა სამხრაზი მოთავსებულია კნეელი, რომელიც ნაკეთებია ჩრქურობის მაგვარად აღებასტრისაგან.

ტაძრის კედელი შიგნიდან სრულიად დაფარულია წილიანთა ხატებით, რომელთა შორისაც იმყოფება სახე იმპერატორის ალექსანდრე პირველისა. რომლის მეფობაშიც მომხდარა ამ ტაძრის შეკეთება—დამშვენება, და ერთს თაღზედ სახე თვით მიტროპოლიტის იოანე მაყაშვილისა.

სამრეკლოს აშენება დაუწყვიდა არქიმანდრიტს მაკარის და დაუსრულებია წინამძღვარს ნიკოლოზს, გვარად მიქე-რაძეს.

რომელიც შეიობდა 1471—1492 წ. წ., მირონცხებულის მნენ ამავე საკათედრო სობოროს მიტროპოლიტი მიეცა. ბოლგელი მიტროპოლიტები, რომელთაც ჰყავნდათ საკუთარი გლეხები და მხედრობა, ომიანობის დროს სამღვდელმთავრო შესამოსლით შემოსილნი და ჯვარით ხელში მიუძღვდნენ წინ მხედრობას და მონაწილეობას იღებდნენ ბრძოლაში. მათ მინიჭიბული ჰქონდათ თავადთა უფლებანი ერის მართვა გამგებისა. მათს სამფლობელოში ირიცხებოდა სიღნაღის მაზრა, ზაქათლის ოლქი და ნაწილი თელავის მაზრისა. სამიტროპოლიტო მამულების შემოსავალი იხსრავდნდა მათის გვარების ეკლესიების შესანახად და განსაზღვენებლად, ხოლო საჭირო შემთხვევათა დროს, საზოგადო სახელმწიფო მოთხოვნილებითათვის. ბეგრად ერთმეოდათ გლეხთ მამულებიდან ნაწალი შემოსავალისა და ხორავეულობა; საეკლესიო გლეხი უფრო კარგათა ცხოვრობდნენ.

ბოლგელთა საკათედრო ტაძრის განაგებდნენ: მიტროპოლიტი ონოფრე, თავადთ ინდრითნიკანთ გვარიდან, რომელიც დალუპული მდინარე ალაზნის ზეირთებში 1839 წ. იოანე პირველი, თავადთ ჯანიგირთაგან; დავით—თავადთ გაჩნაძეთვან, შესანიშნავი მხედარი, დალუპულ ომის დროს; ნიკოლოზი, თავადთ ციციანოვთაგან და სხ... საქართველოს ეკლესიის სიგელგუჯრებში ბოლგელ მღვდელ-მთავართაგან



მოწაფეთა სიმებიანი ორკესტრი ბოლგელის წმ. ნინოს სასწავლებელში.

ეკლესიაში, თლილის ქვებით დაფენილს იატაქს ქვეშ, განისვენებენ ბევრნი ადგილობრივი შესანიშნავი მოღვაწენი: მიტროპოლიტი კირილე, თავად ჯორჯაძეთა საგვარეულოდამ, რომელიც მოკლულ იქმნა ლექთაგან მდინარე ალაზანზედ ბრძოლის დროს 1792 წ. გენერალ-მაიორი გულიაკვი, მოკლული აგრეთვე ლექთაგან ჯარში ომის დროს 1804 წ. ასული მეფე ირაკლი მეორესი—ელენა, კნეინა ანდრიონიკაშვილისა; უკანასკნელი მიტროპოლიტი ამა საკათედრო სობოროს ბოლგელი იოანე 1837 წ.; პირველი საქართველოს ფეოდალური—1821 წ.; თავადი რევაზ ქავჭავაძე, მოკლული დადესტრნელთაგან სამგორის ველზედ მათთან რმში.

ბოლგის საკათედრო სობორის მღვდელ-მთავართ წარსულს დროში მინიჭებული ჰქონდათ სხვა და სხვა უმაღლესი უფლებანი. იგინივე აღასრულებდნენ კახეთის მეფეთა დაგვარგვინების და მირონის ცხების წეს-რიგზაც. მრავალტანჯული მეფე თემიშრაზი, შესანიშნავი ძე მოწამე დედოფალის ქეთევანისა, რომელიც იძიებდა მეგობრობასა და კავშირისა რესეტი, რამაც სრულად მოულოდნელად გამოიწვია უკმაყოფილება და შფოთი ალექსი მიხეილეს ძის პატრიარქ ნიკონთან, დაგვირგვინდა ბოლგის ტაძრში 1605 წ. მეფე გიორგი, ძე დავითისა და მისს შემდეგ ძე მისი ალექსანდრე,

ისენიება ეპისკოპოსი მათე 1692 წ., რომელსაცხელი მოუწერია კათოლიკოზის ნიკოლოზის მოხსენებაზედ რუსეთის ეფუ თეოდორე ალექსისტეთან 1678 წ. რომელთაც იგი სთხოვს მას საქართველოს სამღვდელოების სახელით დამარტინა სპარსელთა წინააღმდეგ.

უკანასკნელს ბოლგელ მიტროპოლიტის იოანეს სრულილის შემდეგ ეს კათოლიკურ გაუქმებით და ქართველთა განმანათლებელის საფლავისა და ტაძრის გამგება გადასულია არქიმანდრიტთა, იგუმენთა და მღვდელ-მთავართა ხელში.

1889 წელში, აღასრულებლად ხელმწიფე იმპერატორის, ალექსანდრე III უმაღლესის ბრძანებისა, დადგენიალია უწმადესის სინოდის გარდაზევეტილება ბოლგის წინდა ნინოს დედათა მონასტრის გასხვანა—დაწესებაზედ, რომელიც აღასრულებულ იქმნა 7 მაისს 1889 წ. თანადასწრებით იგუმენია იგვენიალისა, რომელიც მოვიდა მოსკოვიდან შვილის თანაშემწე მოლოზნით ამ დროიდან ღვთისმსახურების აღსრულება იწყეს აქ სლავიანურს ენაზედ და აღილობრივ მცხოვრებთაც ნაკლებ დაიწყეს ეკლესიაში სიარული.

აღ. ჯორჯაძე.

(დასასრული იქნება)

